თამაშში ერევა ... ნისლი

სპორტის მოყვარულები მოუთმენლად ელოდნენ ცნობებს ესპანეთის ქალაქ ლა–ლინეადან, სადაც მიმდინარეობდა საერთაშორისო ბლიც–ტურები ფეხბურთში ესპანეთის „ვალენტინა“ და „მალაგის“, ჰოლანდიის ამსტერდამისა და თბილისის დინამოს მონაწილეობით.

ესპანეთში წესადაა ზაფხულში ამგვარი ტურნირების გამართვა. თბილსის დინამოელებს უწინაც უთამაშიათ უელვაში (იქ მათ მოიგეს „კოლუმბის კარაველა“), ლას–პალმასში კვლავ უელვაში. ახლა ჩვენი გუნდი მიიწვიეს ლა–ლინვაში.

განვლილი ტურნირის ტექნიკური შედეგები ასეთია: „დინამოს“ და „მალგის“ მატჩი ძლიერი ნისლის გამო შეწყდა დაახლოებით მე–60 წუთზე როცა ანგარიში არ იყო გახსნილი გათამაშების ორგანიზატორებმა შეწყვიტეს გმარჯვებული გამოევლინათ პენალტების სერიით, სადაც წარმატება წილად ხვდა „მალაგას“. მეორე წყვილის შეხვედრაში „ვალენსიამ“ იოლადა სძლია „ამსტერდამს“ 4:0.

მავარი პრიზისთვის ბრძოლა „ვალენსიას“ და „მალაგას“ შორის გასაღდა. ანგარიში აქ არაც დამატებით მატჩში გახსნილა–0:0. საჭირო შეიქნა პენალტების შესრულება, სადაც „მალაგა“ კვლავ უფრო ზუსტი და „ლა–ლინეას პრიზიც“ მას დარჩა.

მატჩში მე–3 ადგილისთვის თბილისელებმა სრული უპირატესობით ითამაშეს „ამსტერდამთან“, დიდი ანგარიშით (6:1). დაამარცხეს იგი და მცირე ვერცხლის თასს დაეპატრონენ.

„ლელოს“ რედაქცია დაუკავშირდა თბილისის „დინამოს“ მეკარეს, სპორტის ოსტატ დავით გოგია და სთხოვა მას მოკლედ ეამბნა განვლილი ტურნირის შესახებ.

– პირველ მატჩში „მალაგასთან“ ასეთი შემადგენლობით გამოვედით: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხიჩაგაშვილი, ხიზანიშვილი, ქორიძე, ჩივაძე, დარასელია, გ. მაჩაიძე (კოპალეიშვილი) მ. მაჩაიძე, ყიფიანი. ტაიმის მსვლელობაში ტერიტორიული უპირატესობა ჩვენს მხარეს იყო, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ რამდენიმე საუკეთესო შესაძლებლობა. შესვენების დროს ზღვიდან წამოვიდა ნისლი, რომელიც კატასტროფული სისწრაფით ძლიერდებოდა. განახლდა მატჩი, ჩვენ კვლავ ვუტევდით, მაგრამ დაახლოებით 15 წუთის შემდეგ ადგილობრივი არბიტრი იძულებული იყო შეეჩერებინა თამაში და დაეცადა გამოდარებისთვის, ვინაიდან თხუთმეტიოდე მეტრის მანძილზე მინდორზე საერთოდ არაფერი ჩანდა. ვიცადეთ 20 წუთს, ნისლმა კი არათუ არ მოიკლო, პირიქით, ყველაფერი დაფარა.

წესით, ასეთ შემთხვევაში თამაში მეორე დღისთვის გადააქვთ, მაგრამ ბლიც–ტურნირში საამისო შესაძლებლობა არ არის. ამიტომ გადაწყდა პირდაპირ შევდგომოდით 11 მეტრიანების

სერიას. ქორიძემ, ჭელიძემ, ჩივაძემ, მ.მაჩაიძემ ზუსტად დაარტყეს, ბოლო ყიფვიანმა კარს ააცდინა ბურთი. მე მეხუთე დარტყმის აღება შევძელი–4:4. პენალტები გაგრძელდა პირველ გაფუჭებამდე. მეექვსე პენალტი მე კვლავ ავიღე, ძოძუაშვილმა კი უზუსტოდ დაარტყა და ანგარიში იგივე დარჩა. შემდგომი დარტყმით ბურთი „მალაგამ“ გაიტანა. ახლა ყველაფერი დამოკიდებული იყო ხიზანიშვილის დარტყმაზე. აქ იმარჯვა „მალაგის“ მეკარემ, აიღო ბურთი და გამარჯვება მის გუნდს დარჩა–5:4. საწყენი მარცხი ვიწვნიეთ.

მესამე ადგილისთვის შევხვდით „ამსტერდამს“. მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩავატარეთ: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, ხიზანიშვილი, ქორიძე, ჩივაძე, დარასელია (კოპალეიშვილი), ყიფვიანი (გ.მაჩაიძე), მ. მაჩაიძე, ჩელებაძე. ანგარიში პირველივე წუთზე გახსნა ჩელებაძემ. მალე ჰოლანდიელებმა შეძლეს საპასუხო გოლის გატანა, შემდგომში კი უპირატესობა მთლიანად ჩვენ გვეკუთვნოდა–დარასელიამ, ჩელებეძემ, მ. მაჩაიძემ, ყიფვიანმა და ჩივაძემ დააგვირგვინეს გამარჯვების საქმე–6:1. დაგვაჯილდოვეს ვერცხლის თასით, რომელიც ისეთივეა როგორიც მთავარი პრიზი, ოღონდ ზომითაა მცირე.

პირველი ადგილისთვის იბრძოდნენ „მალაგა“ და „ვალენსია“ უკეთესად თამაშობდა „ვალენსია“ რომლის შემადგენლობაში არიან ცნობილი ფეხბურთელები: რეპი, კეტა და სხვები, მაგრამ სპორტული ბედი „მალაგას“ სწყალობდა, რომელიც რამდენიმე სახიფათო მომენტს გადაურჩა. აქაც დამატებითი პენალტები დაინიშნა, ორივე მხარემ ორ–ორი პენალტი გააფუჭა, საბოლოოდ კი გაიმარჯვა „მალაგამ“–4:3. გამარჯვებულმა თამაშში ვერც ერთი ბურთი ვერ გაიტანა, მთავარ პრიზს კი დაეუფლა.

ურიგოდ არ გვითამაშია, თანაც, ტრავმების გამო მინდორზე ვერ გამოვიდნენ გუცაევი და მუჯირი. ჩვენს მატჩში „მალაგასთან“ დამატებითი პენალტების შესრულებისას მაყურებლები ტრიბუნებიდან მინდორზე გადმოვიდნენ, შემოეხვივნენ საჯარიმო მოედანს და კარს, უსტვენდნენ, ამხნევებდნენ თავისიანებს, რაც რა თქმა უნდა, ხელს გვიშლიდა და გვანერვიულებდა.

ჩვენს თამაშს ესპანურმა პრესამ მაღალი შეფასება მისცა, ხაზს უსვამდნენ, რომ ფინალში მონაწილეობის ღირსნი „დინამო“ და „ვალენსია“ იყვნენ. გათამაშების ორგანიზატორებმა შემოგვთავაზეს გაისადაც მივიღოთ მონაწილეობა იქაურ ბლიც–ტურნირში.

„ლელო“ , 12 აგვისტო 1976 წ.